giz Office South Caucasus

German Development Cooperation

GIZ Office South Caucasus
Rustaveli Ave. 42 / Griboedov Str. 31a
0108 Tbilisi, Georgia
T +995 32 2201800
F +995 32 2201801

Your reference
Our reference

01 October 2020

კონკურსის გამოცხადება

პროექტის დასახელება: **გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის ოფისი სამხრეთ კავკასიაში**
პროექტის ნომერი: **03.9207.6-001.00**

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით შპს. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) საქმიანობას ეწევა გერმანია-საქართველოს განვითარების თანამშრომლობის სფეროში.

დაგეგმილი გვაქვს შევისყიდოთ შემდეგი საქონელი **დანართი 1 - ის** შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისგან.

ინტერესის შემთხვევაში გთხოვთ **09.10.2020-ის 17:00 საათამდე** წარმოგვიდგინოთ თქვენი შემოთავაზება **ამობეჭდილი** სახით, დახურულ კონვერტში.
გთხოვთ შემოთავაზება მოგვაწოდოთ ინგლისურ ენაზე, **ეროვნულ ვალუტაში.**
სხვა ვალუტაში წარმოდგენილი შემოთავაზებები არ მიიღება.

დაგვიანებული შემოთავაზებები არ განიხილება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ 2013 წლის მაისიდან სსკ–ს 168-ე მუხლის მე–4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება სარგებლობს გადასახადებისგან გათავისუფლებით (დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი) და შესაბამისად **ეროვნულ ვალუტაში** წარმოდგენილი ფასი **არ უნდა შეიცავდეს მოცემულ გადასახადებს**.

გთხოვთ კონვერტზე მიუთითოთ შემდეგი:

- ფირმის სრული სახელწოდება (ლათინურად)
- საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, საკონტაქტო პირი)
- ფირმის მისამართი

Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

Registered offices
Bonn and Eschborn, Germany

Friedrich-Ebert-Allee 32 + 36
53113 Bonn, Germany
T +49 228 44 60-0
F +49 228 44 60-17 66

Dag-Hammarskjöld-Weg 1 - 5
65760 Eschborn, Germany
T +49 61 96 79-0
F +49 61 96 79-11 15

E info@giz.de
I www.giz.de

Registered at
Local court (Amtsgericht)
Bonn, Germany
Registration no. HRB 18384
Local court (Amtsgericht)
Frankfurt am Main, Germany
Registration no. HRB 12394

Chairman of the Supervisory Board
Martin Jäger, State Secretary

Management Board
Tanja Gönner (Chair)
Thorsten Schäfer-Gümbel

- ტენდერის დასახელება - **“Procurement of office furniture”**
- წარწერა ,,კონფიდენციალურია“
- გთხოვთ მოაწეროთ ხელი დალუქვის ადგილზე.
- აგრეთვე მიუთითოთ შემდეგი მისამართი:

GIZ-ის რეგიონალურ ბიუროს სამხრეთ კავკასიაში
რუსთაველის 42 / გრიბოედოვის 31ა, III სართული
0108 თბილისი

ასევე მიუთითეთ კონვერტზე პროგრამის ნომერი: **03.9207.6-001.00**
და ნომერი: **91143384**

გთხოვთ შემოთავაზება დაიტანოთ თქვენი ორგანიზაციის **ლოგოიან თავფურცელზე, დასვათ ბეჭედი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ხელმოწერა.**

შემოთავაზებაში მითითებული უნდა იყოს:

- შეკვეთის შესრულების ვადები
- შემოთავაზების მოქმედების ვადა

პროცედურული თუ ტექნიკური შეკითხვების შემთხვევაში– შემოთავაზებების ჩაბარებამდე არაუგვიანეს **2 დღისა** მოგვმართეთ შემდეგ ელ. ფოსტაზე**:** ge_quotation@giz.de. შეკითხვის გამოგზავნისას ელ.ფოსტის სათაურში მითითებული უნდა იყოს აუცილებლად შესაბამისი ტენდერის ნომერი- **91143384** და ასევე სიტყვა **„Question”**

წესების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება თქვენი შემოთავაზება არ იქნას განხილული.
შემოთავაზებების შეფასება სავარაუდოდ დასრულდება **16.10.2020**-სთვის.
დაკავშირება მოხდება მხოლოდ გამარჯვებულ კომპანიასთან. GIZ იტოვებს უფლებას გაასაჯაროვოს ინფორმაცია ტენდერში გამარჯვებული კომპანიის შესახებ.

სხვა პირობები:

- საქონლის მიწოდების ადგილი: თბილისი 0108, გრიბოედოვის 31ა.
- ანაზღაურება: საქონლისა და ორიგინალი ინვოისის მიწოდებიდან 5 სამუშაო დღეში.

პატივისცემით,
ეკატერინე ბეგაშვილი
შესყიდვების და კონტრაქტების განყოფილება

<u>დანართები:</u>
დანართი 1 - ტექნიკური მახასიათებლები და რაოდენობა
დანართი 2- შესყიდვის სტანდარტული პირობები

<u>დანართები</u>

დანართი 1 - ტექნიკური მახასიათებლები და რაოდენობა

№	Description	Unit	Quantity
1	**Cabinet with 2 small compartments and 1 large compartment with clothes rail** ○ Size: 195cm x 63cm x 38 cm ○ Colour: light grey ○ Stopper hinges ○ Fully PVC edged shelves, lined hollows. ○ With hanger ○ Adjustable balance glide. ○ With lock	Pcs	1
2	**Meeting table round** ○ Size: Approx. 120 cm diameter ○ Colour: light grey ○ One-legged ○ Melamine table tray. Metal; leg.	Pcs.	1
3	**Desk board (to be mounted on existing adjustable desk)** ○ Size: Approx. 180 x 80 x 2,5 cm ○ Colour: light grey ○ Melamine	Pcs.	1
4	**Side board lockable** ○ Size: 180 x 85 x 35 ○ Colour: light grey ○ Melamine ○ Two divisions ○ Sliding cover ○ Adjustable balance glide	Pcs.	1
5	**Meeting chairs (Ergonomic office chair without arms)** ○ Steel frame covered by Polyurethane cast foam. ○ Chromium base	Pcs.	5

	○ Leg: silver grey ○ Color: red ○ Height 92cm, width 53cm, depth 67cm.		
6	**Desk container (with 3 drawers, lockable)** ○ Colour: light grey ○ Melamine	Pcs.	1

Other terms:

- Quality certificates – ISO14001; ISO 45001– is a must; other – ISO9001; EMAS; PEFC; FISP - optional
- Before placing the order samples and/or certificates may be requested.
- Terms of delivery: 2 weeks from order placement

<u>დანართი 2 - შესყიდვის სტანდარტული პირობები</u>

გთხოვთ გაეცნოთ შესყიდვის სტანდარტულ პირობებს, რომელიც შემდგომში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

დანართი 2 - შესყიდვის სტანდარტული პირობები

1. ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილები

ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ: შეკვეთის წერილი დანართებთან ერთად, შესყიდვის ეს სტანდარტული პირობები, და გამყიდველის შემოთავაზება.

თუ ხელშეკრულების ჩამოთვლილი შემადგენელი ნაწილები არიან ურთიერთკომფლიქტში, მათი მნიშვნელობა განიხილება აბზაც 1-ის მიხედვით.

მყიდველის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არ იქნება აღიარებული.

2. გადახდები

თუ შეთანხმებულია გადახდის საავანსო ან წილობრივი ფორმა, მათი შესრულება სავალდებულო ხდება მხოლოდ GIZ-ის მიერ აღიარებული ბანკისაგან უვადო

გარანტიის მიღების შემთხვევაში. განარტია უნდა იყოს უპირობო და GIZ-ის პირველივე წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გადახდადი.

3. სახელშეკრულებო ჯარიმა მოწოდების შეფერხებისთვის

მოწოდების დაგვიანების შემთხვევაში GIZ-ს შეუძლია მოითხოვოს სახელშეკრულებო ჯარიმა შეთანხმებული ფასის (შეფუთვის, ტრანსპორტირების და დღგ-ეს ჩათვლით) 1/2 %-ის ოდენობით ყოველი დასრულებული კვირისთვის, ხოლო დაუსრულებელი კვირის ყოველი დღისთვის 1/12 %-ის ოდენობით, რაც მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმუმ 10 % .

გადახდის დაგვიანების შემთხვევაში მომწოდებელს შეუძლია მოითხოვოს სახელშეკრულებო ჯარიმა შეთანხმებული ფასის (შეფუთვის, ტრანსპორტირების და დღგ-ეს ჩათვლით) 1/2 %-ის ოდენობით ყოველი დასრულებული კვირისთვის, ხოლო დაუსრულებელი კვირის ყოველი დღისთვის 1/12 %-ის ოდენობით, რაც მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმუმ 10 % .

საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

4. გარანტია

GIZ-მა დაუყოვნებლივ მოწოდებისთანავე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა შეამოწმოს მოწოდებული საქონელი.

ნაკლი აღმოჩენისთანავე უნდა შეეტყობინოს გამყიდველს

ეს ყოველივე უნდა მოხდეს 10 დღის განმავლობაში

წუნდებული საქონლის გამოცვლისას GIZ საქონელს უბრუნებს მომწოდებელს იმავე ადგილას სადაც მან მიიღო პროდუქტი. გამყიდველის ადგილამდე საჭირო ტრანსპორტირების ხარჯებს გაიღებს თვით მომწოდებელი.

5. შეძენილი ქონების მიღება-ჩაბარების წესი

დანიშნულების ადგილას მიტანისას მომწოდებელი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი წარუდგენს GIZ-ეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს სხვა ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტებთან ერთად მიღება-ჩაბარების აქტს.

6. GIZ-ის უფლება კონკურენციის შეზღუდვის და მოსყიდვისას

თუ მომწოდებელმა, მისმა თანამშრომელმა ან წარმომადგენელმა GIZ-ის თანამშრომელს, თანამშრომლის ნათესავს ან სხვა მასთან დაახლოვებულ პირს შესთავაზებს ან მისცემს საჩუქარს ან რაიმე სახის სარგებელს შეკვეთის გაფორმებასთან დაკავშირებით, ან თუ მომწოდებელი სხვა მომწოდებლებთან ერთად მოინდომებს კონკურენციის შეზღუდვას, GIZ უფლებამოსილია, ზარალის ანაზღაურების უფორ მაღალი თანხის მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის გარეშე, ერთჯერადად შეთანხმებული ფასის (შეფუთვის, ტრანსპორტირების და დღგ-ეს ჩათვლით) 10% მოითხოვოს ზარალის ანაზღაურების სახით დასაბუთების გარეშე. თუ გამყიდველი დაასაბუთებს, რომ GIZ-ეს უფრო ნაკლები ზარალი მიადგა, მაშინ ანაზღაურდება დასაბუთებული თანხა. თუ გამყიდველი დაასაბუთებს, რომ GIZ არ მიუღია ზარალი, მისი ანაზღაურების ვალდებულებაც ბათილდება.

თუ მომწოდებელი ან მისი თანამშრომელი ან წარმომადგენელი GIZ-ის თანამშრომელს ან მის ნათესავს ან მათთან სხვაგვარად ახლო ურთიერთობაში მყოფ პირს მისცემს ან შეთავაზებს საჩუქარს ან რაიმე სახის სარგებელს შეკვეთის შესრულებასთან დაკავშირებით ან თუ მომწოდებელი ან მისი თანამშრომელი დავალების განხორციელებასთან დაკავშირებით მიიღებს საჩუქარს ან სხვა უპირატესობას მესამე პირებისაგან, გამყიდველი ვალდებულია გადაუხადოს GIZ-ს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სახელშეკრულებო ჯარიმა შეთანხმებული ფასის 15% ოდენობით. თუ შეთანხმებული ან მიცემული სარგებელი უფრო მეტია, ვიდრე პირველ აბზაცში ჩამოყალიებბული სახელშეკრულებო ჯარიმა, მაშინ ჯარიმის ოდენობა იმატებს მიცემული ან შეთავაზებული სარგებლის ღირებულების მიხედვით. სხვა ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრეტენზიები რჩება ხელშეუხებელი. სახელშეკრულებო ჯარიმა ასეთი ზარალის ანაზღაურების პრეტენზიების არსებობის მიუხედავად უნდა დაანგარიშდეს.

გარდა ამისა ყველა პირველ და მეორე აბზაცში ჩამოთვლილ შემთხვევებში GIZ უფლებამოსილია გააუქმოს ხელშეკრულება.

7. მორალური ქცევის წესები

მომწოდებელს ნათლად უნდა ესმოდეს, რომ GIZ-ის თანამშრომლებმა უნდა დაიცვან ორგანიზაციის შიდა მორალური ქცევის წესები. იგი ვალდებულია პატივი სცეს, GIZ-ის თანამშრომლებთან ურთიერთობისას ამ წესებს.

8. მოქმედი სამართალი

გამოყენებას პოულობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში მოქმედი სამართალი საერთაშორისო საქონლის ყიდვა-გაყიდვის გაერთიანებული ერების 1980 წლის 11 აპრილი შეთანხმების გამოკლებით.

ყველა სახელშეკრულებო დავის გადაწყვეტის ერთადერთი ადგილი არის მაინის ფრანქფურტი (გერმანია). გარდა ამისა GIZ-ს აქვს უფლება უჩივლოს სასამართლოში გამყიდველს მისი, ან მისი ფილიალის, რომლის მეშვეობითაც მოხდა ყიდვის შეთანხმება, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

9. წერილობითი ფორმა

ხელშეკრულების ყოველგვარი შესწორება/ ცვლილება უნდა მოხდეს წერილობით.

10. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს მაჟორული გარემოებების გამო.

ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს მაჯორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური უბედურებებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

ფორს მაჟორული გარემოებათა გამო ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს ატყობინებს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში და აცნობებს მას ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების სავარაუდო ვადას. შესაბამისად, მხარეთა ვალდებულებების შესრულება გადაიწევს ფორსმაჟორული გარემოებების მოქმედების განმავლობაში.

თუ ფორს-მაჟორული გარემოებები გრძელდება 30 (ოცდაათ) დღეზე მეტს, ამ ვადის გასვლის შემდეგ მხარეები მოლაპარაკებით გადაწყვეტენ ხელშეკრულების შემდგომი მოქმედების საკითხს.

11. სხვა პირობები

ეს შეთანხმება მომზადებულია გერმანულ და ქართულ ენებზე ორ ეგზემპლარად. თითო ორიგინალს ქართულ და გერმანულ ენაზე მიიღებს მომწოდებელი, თითოს GIZ-ი. შეთანხმების ორივე ტექსტს თანაბარი ძალა გააჩნია. ტექსტის განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება გერმანულ ენაზე შესრულებულ ტექსტს.